არალეგიტიმური ხელისუფლება აგრძელებს პროტესტის მონაწილე მოქალაქეების დასჯას, წამებას და არაადამიანურ მოპყრობას

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს არალეგიტიმურ ხელისუფლებას მოუწოდებს, პატივი სცენ ადამიანის შეკრების უფლებას და უზრუნველყოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა.

შემაშფოთებელია არალეგიტიმურად დანიშნული ე. წ. პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის მიერ თავისი უკანონო საქმიანობის პირველივე დღეს ხელმოწერილი რეპრესიული კანონები, რომლებიც არალეგიტიმურმა პარლამენტმა სპეციალურად პროტესტის და წინააღმდეგობის მონაწილეებისთვის შეიმუშავა. ეს საკანონდებლო ბაზა საფუძველს ამზადებს პროტესტის მონაწილე მოქალაქეების დასასჯელად.

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას და 28 ნოემბერს დე ფაქტო პრემიერ მინისტრის მიერ გაცხადებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერების შესახებ, თბილისში და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო აქციები მოჰყვა. საზოგადოების წინააღმდეგობას და პროტესტს ხელისუფლებამ არაპროპორციული ძალა, ტერორი, აქციის მონაწილეების დემონსტრაციული და ძალადობრივი დაკავებები დაუპირისპირა. საპოლიციო ძალების მხრიდან უპრეცედენტო მასშტაბის ძალადობა მიმართული იყო პროტესტის მონაწილეების, ჟურნალისტების, აქტივისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საგანგაშო იყო სამართალდამცავთა მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში, ანდა დაკავების შემდეგ, იზოლატორში გადაყვანამდე, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, რის შესახებაც საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე - ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების განცხადებებში.

საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები, ადამიანის მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის უფლებების წინააღმდეგ მიმართული მასობრივი დარღვევები გვაძლევს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა სისტემურ ძალადობას, რაშიც ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის ყველა ქვედანაყოფი.

ადვოკატების მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულთა უდიდესი ნაწილი სასტიკად იქნა ნაცემი. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულების მიმართ, ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც დაკავების პროცესში, ასევე - დაკავების შემდეგ. რამდენიმე დაკავებულის განცხადებით, მათზე ძალადობა გაგრძელდა იზოლატორებშიც. დაზარალებულების განცხადებით, გარდა დაკავების პროცესში განხორციელებული ძალადობისა, მათი ცემა პოლიციის მიერ სპეციალურად მოწყობილ მიკროავტობუსებში გრძელდებოდა, სადაც ათობით პოლიციელი რიგ-რიგობით გონების დაკარგვამდე ცემდა დაკავებულებს. ფიზიკურ ძალადობას ხშირად თან ახლდა შეურაცხყოფა, მუქარები (მათ შორის სექსუალური ძალადობის შესახებ) და დამცინავი თუ დამამცირებელი მოპყრობა. დაკავებულების უმრავლესობას ძირითადი დაზიანება სახის და თავის არეში აქვს მიყენებული, რაც მიანიშნებს სისტემური ძალადობის ტენდენციაზე. სავარაუდოა, რომ სამართალდამცავთა ქმედებები მიმართული იყო არა სამართალდარღვევის აღკვეთისაკენ, არამედ დემონსტრანტების დასჯისაკენ.

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი საგანგაშოდ მიიჩნევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელთა ერთობლივი რეპრესიული დებულებები შეუძლებელს ხდის ადამიანის შეკრების და გამოხატვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, საფრთხეს უქმნის საქართველოს კონსტიტუციით დაცულ, ადამიანის თავისუფლების და ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. არალეგიტიმურად დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ ყაველაშვილის მიერ ავტომატურ რეჟიმში, ყოველგვარი განხილვის გარეშე ხელმოწერილი ეს კანონები მიმართულია პროტესტის მონაწილე მოქალაქეების დასასჯელად და წინააღმდეგობის ჩასახშობად.